

იზა ჩანტლაკი

იყო თუ არა ზრუნვითი ბრუნვა სვანურ სახელთა პარადიგმატულ სისტემაში?

„გვექნებოდა თუ არა სვანურ ნომინატივში *მურყუამა-ი („კოშკი“), *ფუსნა-ი („ბატონი“), ძველი ქართული ენისა და ზოგი ცოცხალი კილოს მამა-ი / დედა-ი მსგავსად, სხვა საკითხია: იგი ჩვენ აშუამად არც გვანტერესებს“ (ზაზი ჩვენია – ი. ჩ.) – განაცხადა აკადემიკოსმა ვარლამ თოფურიაშვილმა 1926 წლის 28 დეკემბერს ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე. მას შემდეგ თითქმის საუკუნე გავიდა და, მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხით დაინტერესების სურვილი არც ერთ ქართველოლოგს არ გამოუთქვამს არც ჩვენში და არც საზღვარგარეთ. მოველოდით, რომ მასზე მსჯელობა იქნებოდა პროფესორ ბაქარ გიგინეიშვილის სტატიაში „ხმოვანთა სიგრძე და აუსლაუტის საკითხი სვანურში“ („მაცნე“, №2, 1973), მაგრამ აქაც გაგვიკრუვდა იმედი, რადგანაც ავტორმა მთელი თავისი ყურადღება გადაიტანა ხმოვანთა სიგრძეზე, თუმცა ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრება გამოთქვა: „საფიქრებელია, რომ სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიანი სახელები ბრუნვის მორფემის ნულოვანი ალომორფით იყვნენ წარმოდგენილნი“-ო (იქვე: 150).

სხვათა ლოდინს თავი დავანებეთ და გადავწყვიტეთ, გარკვეული მოსაზრებანი გაგვეზიარებინა კოლეგებისათვის:

„სვანური ბრუნვის დღევანდელი სახე მეტისმეტად შეცვლილია იმასთან შედარებით, რაც ძველად უნდა ყოფილიყო. ამიტომ ძნელია, ნათლად გაერკვეს კაცი, იმ არევ-დარეულ ფორმებში, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნვა დღეს. ვინაიდან უმლაუტები გვაქვს და მათი გამომწვევი მიზეზები – აღარა... სვანური უმლაუტის საკითხში დაბრკოლებას ბოლოკიდური მარცვლები წარმოადგენენ. სადაც ანალოგიებს ძალიან უნდა დაეხმებინოს წარმოების პირვანდელი სახე“ (ა. შანიძე, 1924/1981: 362).

ქართულზანურ ენებთან შეპირისპირებისას სვანურში აშკარადაა თვალში საცემი თანხმოვანფუძიანი სახელთა სიჭარბე ხმოვან ფონემაზე დაბოლოებულებთან შედარებით, ამასთანავე, უკანასკნელ შემთხვევაში -ა და -ე ბოლოკიდურიანები უფროა გავრცელებული, ვიდრე -უ, -ო ან -გ აუსლაუტიანები.

უმლაუტი – უმთავრესი სპეციფიკური მორფოფონოლოგიური მოვლენა სვანური ენისა – ერთმანეთისაგან მიჩნავს ორ-ორ ჯგუფს როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან სახელებში – უუმლაუტოებსა და უმლაუტიანებს, არადა ყველგან მხოლოდ ერთი (უმლაუტიანთა) ჯგუფი უნდა გვექნოდნა, რადგანაც ისტორიულად, დანარჩენ ქართველურ ენათა მსგავსად, ყველა საზოგადო სახელს (გამონაკლისს ქმნიან ანთროპონიმები! – ზ. ჭუმბურიძე, 1964) უსათუოდ უნდა ჰქონოდათ სახელობითი ბრუნვის მორფემა -ე (არქაული) ან -ი (შედარებით გვიანდელი).

თანამედროვე სვანურ მეტყველებაში (როგორც ენგურის, ისე კოდორისა თუ ცხენისწყლის ხეობებში) თითო-ორი ფრაგმენტის სახითა და იმავდროულად ყველა დიალექტში აბსოლუტურად ერთგვარად (-ი!) შემოგვრჩა სახელობითის მორფემა [შდრ. **ფორ-ი** „ორი“, **სემ-ი** „სამი“, რომელიც ამ ფუნქციით მხოლოდ ე. წ. ორფუძიანი ბრუნების სისტემაში გამოიყენება (სახ. **ფორ-ი**, მიც. **ფარ-ჟ...** სახ. **სემ-ი**, მიც. **სამ** <“სამ-ჟ...“), სხვაგან კი ისიც სახელის ფუძესაა შეხორცებული ყველა ბრუნვაში (სახ. **ფორი**, მიც. **ფორი-ს**, ვით. **ფორი-დ...** სახ. **სემი**, მიც. **სემი-ს**, ვით. **სემი-დ...**). სამაგიეროდ, -ი მორფემის ბგერინაცვალი -**ფ** დღესაც ძალზე გავრცელებულია ბალსზემოურსა და ლაშხურ დიალექტებში, აგრეთვე, კოდორის ხეობაში საუკუნენახევრის წინ ჩასახლებულ ბალსზემოელთა მეტყველებაში (როგორც საერთოქართველურ, ისე საკუთრივ სვანურსა თუ ნასესხებ ლექსიკაში: **ჭალა-ფ** „მდინარე; ჭალა – მინდორი მდინარის პირას“, **წა-ფ** „წელიწადი“, ბჭ. **წა** „ზაფხული“, **მეშა-ფ** „მეშა“...), ხოლო სხვაგან (ბალსქვემოურში, ლენტეხურში, კოდორის ხეობაში ჩასახლებულ ბალსქვემოელთა მეტყველებაში) იგი, ჩვეულებრივ, იკვეცება, მაგრამ სახელობითის ფორმაში რჩება მისი ერთ-ერთი დიფერენციალური ნიშნის (ბალატალობის) მოქმედების შედეგი უმლაუტის სახით (**ჭალა**, **წა**, **მეშა**).

ასეთ რთულ ვითარებაში, ბუნებრივია, გვიჩნდება კითხვები, თანაც საკმაოდ სერიოზული ხასიათისა:

1. რატომ არა გვაქვს უმლაუტი **დინა** („ქალიშვილი“), **დერა** („გაყინული თოვლი“), **კა** („ფიქალი ქვა“), **კენჭა** („ნეკი“), **კადა** („ნაჯახი“), **შირა** („წისქვილის ქვა“), **შდა** („თავთავი“), **ჩერშდა** („თითისტარი“), **ტაფწელა** (ბალახის სახეობა), **ჭეჭა** („მაჯა“) და სხვა ანალოგიურ ერთ, ორ თუ სამმარცვლიან სახელთა აუხსლაუტში?! – არადა, ასეთი ლექსემები უამრავია სვანური ენის ყველა დიალექტში! მათ არ დაერთოდათ სახელობითი ბრუნვის -**ე** ან -**ი** მორფემა, თუ ისინი თავდაპირველი ფუძის (ანუ წრფელობითი ბრუნვის) სახით შემოგვრჩნენ დღემდე? ცხადია, რომ დართოდათ რომელიმე მათგანი, საანალიზო ფუძეებთან უმლაუტის მხრივ იგივე სიტუაცია გვექნებოდა, რაც დღეს ლენტეხურსა (სრული სახით) თუ სხვა დიალექტებშია (სინკრეტულად) დაცული (შდრ. **ლნტ. დინა-იშ**, ბჭ. **დინაშ**, ბზ. **დინაშ**, **ლშხ. დინაშ** „ქალიშვილის“) ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში.

2. მეორე მხრივ, **ბაღე** („ფოთოლი“), **გუწარე** („ტყავი“), **თე** („თვალი“), **ლწარე** („სათიბი“), **მწარე** („კაცი“), **ჟახე** („სახელი“), **ფხულე** („თითი“), **ღუესე** („ქონი, ბადექონი“), **ღალე** („ფრთა“), **ჟუიჟე** („ლეიძლი“), **წესხე** („ფესვი“) და ა. შ. ისტორიულად ბოლოვდებოდნენ -**ე** ხმოვანზე (როგორც ამას ზოგი ქართველოლოგი ფიქრობს! – ონიანი 1998: 62-68), თუ ისინიც ზემოაღნიშნულ -**ა** აუხსლაუტიან სახელთა რიგში იყვნენ? (დღემდე ყველა დიალექტში აქვთ მათ ამოსავალი -**ა** ხმოვანი შენარჩუნებული არასაუმლაუტო პოზიციებში, ოღონდ, ცხადია, არა იქ, სადაც ქართულ-ზანურ ენათა გავლენით მიმდინარეობს

საილუსტრაციო მასალა მოგვყავს ბალსზემოური დიალექტის მიხედვით, რადგანაც მასში ყველაზე უკეთაა შემონახული ჩვენი საკითხისათვის აუცილებელი საანალიზო მასალა.

შედარებით ახალი – სახელობითი ბრუნვის ფორმის მიხედვით პარადიგმატული გასწორების – პროცესი).

ვფიქრობთ, რომ -ე აუსლაუტიანი სახელები წარმოადგენენ პირველი ჯგუფის სახელთა ნაუშლაუტარ მონაცემებს, ანუ სახელობითი ბრუნვის ფორმებს, ხოლო თავად -ა აუსლაუტიანები დღემდე სვანურ ენაში შემოგვრჩნენ წრფელობითის ფუნქციით, ე. ი. ოდენ ფუძის სახით.²

ამჟერად მხოლოდ -ა და -ე ბოლოკიდურიან და თანხმოვანფუძიან სახელთა ერთ ჯგუფზე ვმსჯელობთ, ხოლო მას შემდეგ, რაც სვანური ენის ლინგვისტური კორპუსისთვის აუცილებელი მასალა მთლიანად ხელთ გვექნება, დარწმუნებულნი ვართ, უფრო ფართო არეალის მომცველ ლექსემებსაც შევხება ჩვენი ეს დასკვნა, ანუ ყველა თანხმოვანფუძიანი სახელი, რომელსაც ფუძის ბოლო მარცვალში დაცულ ა, ო, უ, ჯ ხმოვნებზე უშლაუტი არ მოუდით, ალბათ, ისტორიული წრფელობითი ბრუნვის ამსახველი მონაცემი იქნება.

ბუნებრივია, გვკითხავენ: -ე ხმოვანზე დაბოლოებული სახელები ისტორიულად არ არსებობდნენო სვანურში? – შევეცდებით, ამ კითხვაზე მომავალში ვუპასუხოთ უშლაუტის მქონე ენებში არსებული ვითარების ზოგადლინგვისტური გააზრების გათვალისწინებით...

საგანგებოდ დავინტერესდით ბალსზემოურ-ლენტეხურ დიალექტებში შემონახული ერთი -ა აუსლაუტიანი კომპოზიტით, რომელიც სხვაგან -ე დაბოლოებით გვხვდება. ესაა „თიბვის დაწყების დღის“ აღმნიშვნელი ლექსემა ახანახა/ახამახა (შდრ. ბქ. ახენახე, ლშხ. ახენახე), რომელიც გამონაკლისს არ წარმოადგენს. სახელობით ბრუნვაშივეა დაცული -ა სოფელ ჩიხარემის (ლაშხეთი) უგუმბათო ეკლესიის სახელწოდებაში მაშენა (შდრ. შესაბამისი ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხის ფორმები: ბზ./ლშხ. მაშენე < *მა-შ-ე-ენ-ა-ი/ე „უდიდესი“, ბქ./ლნტ. მაშენე), ხოლო ლენტეხის რაიონში 1962 წელს პროფესორ მაქსიმე ქალდანის მიერ ჩაწერილ ზღაპარში (ჩიჟე ი მაჭრენე სემუნ – „სიძე და უმცროსი ცოლისძმა“) ერთმანეთის გვერდით გვხვდება -ა და -ე აუსლაუტიანი ფორმები:

აგის მენესკგრა მუხუბე ლახეჭუედლა ჭყინტს (სვ. პროზ. ტ., III, 1967, 226: 16) – „შინ შუათანა ძმა შეეკითხა ბიქს“;

შდრ. მერბა ნაგაზნისკა ჩიჟეს ხეწიან მენესკგრე მუხუბე (იქვე, 226: 18) – „მეორე კვირაში სიძეს ეწვია შუათანა ძმა“.

² სპეციალურ ლიტერატურაში ზოგი ავტორი სკეპტიკურ დამოკიდებულებას იჩენს საანალიზო ტერმინისადმი: „უნიშნო ფორმის წრფელობითად სახელდება გაუმართლებელია: წრფელობითი, ტრადიციული გაგებით, ვერ მოიცავს იმ ბრუნვის ფუნქციონირების არეს, რომელსაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მკაცრად განსაზღვრული ადგილი უკავია. ვფიქრობთ, ტერმინი განუსაზღვრელობითი ბრუნვა უფრო შეფერება აღსანიშნს“ (კ. გაბუნია, 2000: 69). სვანურ სახელთა პარადიგმატიკა აღსაწერად ჩვენთვის წრფელობითი შედარებით მოსახერხებელი ჩანს. მკვლევართა უმრავლესობა სწორედ მას ან „განუსაზღვრელობით ფორმას“ იყენებს (შდრ. casus indefinitus an absolutivus – კ. შმიდტი, 1991). ტერმინი „წრფელობითი“ პირველად (1753 წ.) კათალიკოსმა იხმარა თავის „ქართულ ღრამმატიკაში“ სახელობითი ბრუნვის გამოსახატავად მის კვალს მიჰყვენენ ჩვენი ცნობილი გრამატიკოსებიც (გაიოზ რექტორი, დავით ბატონიშვილი, დავით ჩუბინაშვილი, იოანე ქართველიშვილი, სოლომონ დოდაშვილი...).

წიგნში გვხვდება შენიშვნა (გვ. 335): სოფელ მელურაში ჩაწერილი ტექსტი შეამოწმა ვარლამ თოფურიაშვილმა და აღმოაჩინა, რომ იმას ნიშნავს, რომ იმავე ხეობის მეორე სოფელშიც არ გაჰყვირებია სხვა მთქმელს აღმატებით ხარისხთა -ა / -ე დაბოლოებიანი ფორმები ერთმანეთის პარალელურად სახელობით ბრუნვაში.

იგივე შეიძლება გვეთქვა: ზომხა < *ზამხა, შდრ. ზან-ღ-მახე („წელი ახალი“), დერა/დერე („ყინულოვანი თოვლი“), ლარა/ლარე („სათიბი, მინდორი“), ათხა / ათხე („ახლა“) ლექსემათა შესახებაც.

უფრო მეტიც, სხვადასხვა დიალექტშიც შეიძლება შეგვხვდეს ხან -ა, ხან -ე სუფიქსიანი ან სულაც მათი მოკვეცილ მიღებული მონაცემები: ბქ. ნათხურა / ლნტ. ნათხურეა / ნათხურეარ, ბზ. ნათხურეარ, ლშხ. ნათხურეარ^ე – „ნანადირევი“ (ლაშხეთში „გარეული ჩლიქოსანი ცხოველი – არჩვი, ჯიხვი...“).

მესტიის რაიონში ერთ იალალს დომბან^ეშ ლარა („დომბას მინდორი“), ხოლო ჩოლურში „სათიბს“ ლარა (ა. ლიპარტელიანი, 1994: 176) ჰქვია.

რაც შეეხება ახანახა / ახენახე ლექსემას, ვფიქრობთ, მეტად საინტერესოა მისი ეტიმოლოგია:

სვანეთში (და, ალბათ, სხვაგანაც!) თიბვა იწყება ახალი მთვარის გამოჩენის შემდეგ. მის დანახვაზე სვანები პირჯვარს იწერენ, ლოცულობენ, პირში რკინას იღებენ და სთხოვენ მთვარეს, რომ რკინის სიმაგრე მისცეს (ეგნატე გაბლიანი, 1925: 131). ამ ეთნოგრაფიული დეტალის გათვალისწინებით, საანალიზო კომპოზიტში წარმოდგენილი ნახა თუ ნახე, ალბათ, იარაღის აღმნიშვნელი სვანური სიტყვაა, ხოლო ახა/ახე ანლაუტში თანხმოვანმოკვეცილი მახე <*მახა-ი/ე („ახალი“) უნდა იყოს. მაშასადამე, ახანახა არქაული (წრფელობითისა?) ფორმაა, ხოლო ახენახე < *მახა-ი/ე-ნახა-ი/ე – შედარებით გვიანდელი (ნაუმლაუტარი, ე. ი. სახელობითისა).

რაც შეეხება ლენტეხურ ახამახა (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000: 95)¹ს, ვფიქრობთ, რომ იმდენად შორსაა წასული ამ დიალექტში დიგლოსიური მოვლენები, მოსალოდნელია ის ქართული „ახალმახალის“ მიხედვით იყოს შექმნილი.

ჩოლურულ მეტყველებაში ახენახე არის „უნახავი, უცნობი, შესასწავლი“, ხოლო ახემახე – „ახალთახალი“ (ა. ლიპარტელიანი, 1994: 57).

საინტერესოა, რომ ძველ ქართულშიც შედის ცნება „ახალი“ „მთვარეულის“ სახელწოდებაში (შდრ. ახლ-ის-პირ-ოვ-ან-ი).

დასასრულს, უნდა ჩავასწოროთ „სვანურ პოეზიაში“ (1939: 118, 26-27) დაბეჭდილი თითქმის საუკუნის წინ ჩაწერილი ერთი ძველი სიმღერის ტექსტიც (მოგვიტევეონ ჩვენი დიდი მასწავლებლების ნათელმა სულეებმა!), რომელიც იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი წარმოადგენს რითმის ჩანასახს ურითმო სვანურ შაირში:

ახანახა, დოშდულ მახე, „თიბვის დღე, მთვარე ახალი,
ქრისდედ ანკიდ უწარგი უახე. ქრისტემ ამოაგდო აზნაურის
(„ვარგი¹“) სახელი!“

(და არა ისე, როგორც პუბლიკაციაშია თარგმნილი – აქ ახანახა სახელდების³ ანუ წრფელობითი ბრუნვის ფორმაა და არა მიცემითისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის შემდეგ მძიმე სრულიად უადგილო იქნებოდა შესაბამის სვანურ ტექსტში).

ბალსქვემო სვანეთში გვხვდება ტოპონიმი ლგ-ჰ-ა ფარის თემში შემავალი ერთი სოფლის სახელწოდებად. ვფიქრობთ, რომ იგი ლი-ჰ-ე („მიღწევა, მისწრება; დამწიფება; წაღება“) მასდარისეული უნებით გვარის ნამყო დროის მიმღეობაა, რომელიც სახელობით ბრუნვაში დღეს ლგ-ჰ-ე (ბზ.), ლგ-ჰი-ე (ბქ.), ლგ-ი-ე (ქსვ.) ფორმათა სახით იხმარება, მაგრამ გეოგრაფიულ სახელში შემოგვრჩა წრფელობითის ვარიანტით.

ქართველურ ენებში „უუძველეს დროს ორი ბრუნვის ნაცვლად ერთი (წრფელობითი, ე. ი. განუსაზღვრელი ნომინატივი) უნდა ყოფილიყო, მეორე კი (სახელობითი, ე. ი. განსაზღვრული ნომინატივი) შემდეგ უნდა განვითარებულიყო. ერთი ბრუნვა (წრფელობითი) ადრინდელი მოვლენაა, ორი კი (წრფელობითი და სახელობითი) – ნელადი, მაგრამ ეს „ნელადი“ შეიძლება იმ დროისა იყოს, როცა ქართულ-მეგრულ-სვანური ჯერ კიდევ არ იყო ერთმანეთისაგან ენობრივად დაშორებული... თანხმობიან ფუძეებში ახალ ქართულსა და მეგრულში სახელობითის ფორმებმა მოიპოვა უპირატესობა, ხმოვნიანებში კი – წრფელობითისამ“ (ა. შანიძე, 1924/1981: 362-363). ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ განხილული ორი ჯგუფი სახელებისა სვანურ ენაშიც ნაწილობრივ ადასტურებს დიდი მეცნიერის ამ ვარაუდს, ოღონდ მცირეოდენი კორექტივით:

1. წრფელობითის ფორმები შემოგვრჩა როგორც თანამედროვე -ა აუსლაუტიან სახელებთან (დინა, კადა, შირა...), ისე იმ ლექსემებთან, რომლებსაც ისტორიულად ბოლოს -ა ხმოვანი ჰქონდათ, მაგრამ დროთა ვითარებაში მოეკვეცათ, თუმცა ფუძეში არანაირი კვალი არ დაუტოვებიათ (გეზალ < *გეზალა „შვილი“, ბაპ < *ბაპა „მღვდელი < ბა-პა“ ქორ < *ქორა „სახლი“, ფუსდ < *ფუსდა „ბატონი, უფალი“...). მაშასადამე, თანამედროვე თუ ისტორიულად -ა აუსლაუტიანი სახელები მოიქცნენ ერთგვარად – წარმოგვიდგნენ განუსაზღვრელობითი სახელობითის, ანუ წრფელობითი ბრუნვის სახით.

II. სახელობითმა უპირატესობა მოიპოვა:

1. იმ -ეზე დაბოლოებულ სახელებთან (მარე, ყანე, ფხულე...), რომლებიც ისტორიულად -ა აუსლაუტიანები იყვნენ. თუმცა აქა-იქ დღემდე შემოგვენახა ამოსავალი (წრფელობითის!) ფორმები (ზს. ახანახა, ბზ. ლარა, ბზ. ლშხ. დერა, ათხა, ზომხა, ბქ. ლგჰა, ლშხ. მაშენა, ლნტ. მანესკრა... შდრ. იგივე ფუძეები სახელობით ბრუნვაში: ახენახე, დერე, ათხე, ზან'ე'მა-ხე, ლგჰე, მაშენე, მანესკრე, ლარე...).

2. ჭალა-ე, ზან-ე, მგშან-ე, ზს., ლნტ. თჷე-რ' (შდრ. ლშხ. თო-ე) და ა. შ. დიფთონგური ტიპის სახელებთან:

* „წრფელობითის უძველესი ფუნქცია საბელადობობაა, რომლის მოდიფიკაციითაც არის რეალიზებული წრფელობითი რქუმა – წოდების, ყოლა-ქონების ზმნებთან, აგრეთვე შედგენილ შემასმენელთან და რთულ ზმნებთან“ (კ. დანელია, 1995: 39).

† მართალია, ტერმინები, ჩვეულებრივ, ბირობითი ცნებებია, მაგრამ, არა გვგონია ლინგვისტიკაში გამოგვადგეს „ნელადი მოვლენა“.

3. თანხმოვანფუძიან სახელებთან, სადაც დღეს სახელობითის მორფემა აღარსადაა (ორიოდე გამონაკლისის გარდა! – შდრ. *ჟორ-ი*, *სემ-ი*), მაგრამ მისი კვალი აშკარაა ფუძის ბოლო მარცვლისეული უმლაუტის სახით (*თწრ* < *თარ-ე/ი* „ჩირქი“. *ჩწყ* * < *ჩაყ-ე/ი* „ცხენი“. *ხამ* * < *ხამ-ე/ი* „ღორი“, *კუეპ* < **კოპ-ე/ი* „ღილი“, *თხუიმ* < **თხუმ-ე/ი* „თავი“...).

გამოყენებული ლიტერატურა

- ე. გაბლიანი, 1925 – ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925.
 კ. გაბუნია, 2000 – კ. გაბუნია, უნიშნო ფორმის მორფოლოგიური სტატუსისათვის ქართული ენის ბრუნვათა სისტემაში. ენათმეცნიერების საკითხები, №2, თბ., 2000.
 ბ. გიგინეიშვილი, 1973 – ბ. გიგინეიშვილი, ხმოვანთა სიგრძე და აუსლაუტის საკითხი სვანურში, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №2, თბ., 1973.
 კ. დანელია, 1995 – კ. დანელია, წრფელობითის ადგილისათვის ძველი ქართულის ბრუნვათა სისტემაში, იკე, XXXIII, თბ., 1995.
 ა. ლიპარტელიანი, 1994 – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1994.
 ა. ონიანი, 1998 – ა. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998.
 ა. შანიძე, 1924 – ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, „არილი“ (პროფ. ი. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული), ტფ., 1924.
 კ. შმიდტი, 1991 – Schmidt K. H., „Svan“. in: A. C. Harris (ed.): The Indigenous Languages of the Caucasus. Volume 1: The Kartvelian Languages. Delmar, New York: Caravan, 1991: 473-556.
 ზ. ჭუმბურიძე, 1964 – ზ. ჭუმბურიძე, საკუთარ სახელთა ბრუნება სვანურში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 9, თბ., 1964.

IZA CHANTLADZE

WAS ABSOLUTIVE CASE PART OF PARADIGMATIC SYSTEM OF THE SVAN NOUNS?

I. Forms of absolutive case remained both in modern nouns with *-auslaut* (*dīna*, *kāda*, *shīra*, etc.) and those lexemes that historically possessed *-a* vowel in the final position which has *apocopated* over the course of time without any traces left in a stem (*gezal* < **gezala* “child”. *bap*’ < **bapa* “priest <grandfather”, *kor* < **kora* “house”, *pusd* < **pusda* “Lord, God”, etc.). Thus, Modern nouns with –

*a*auslaut as well as those nouns that historically had *-a*auslaut followed the same pattern – transformed into the form of indefinite nominative or absolutive case.

II. the nominative case prevailed:

1. in those nouns with the *-e* endings (*māre*, *dzäkhe*, *pkhule*, etc.) that historically had *-a*auslaut: however, occasionally primary forms (absolutive case!) still remain (Upper Svan: *a'ana'a*, Upper Bal: *lara*, Upper Bal, Lashkhian: *dēra*, *atkha*, *zomkha*, Lower Bal: *ľuha*, Lashkhian: *mashēna*, Lentekhan: *maneskūra*...cf.: the same stems in the nominative case: *akhenakhe*, *dere*, *atkhe*, *zā'y'makhe*, *ľuhe*, *mashēne*, *manesküre*, *läre*..).

2. *chafá-y*, *zä-y*, *müşhä-y*, Upper Svan, Lentekhan: *Twe-⁷y* (cf.: Lashkhian: *To-y*), etc. in nouns containing a *diphthong*.

3. in *consonant-stem* nouns which currently do not contain a nominative morpheme anymore (but the two exceptions! – cf.: *yor-i*, *sem-i*), however, its trace is evident in the form of the umlaut in the final syllable of the stem (*Tär* < *Tar-e/i* "pus", *Chädz* * < *Chadz-e/i* "a horse", *kham* * < *khäm-e/i* "a pig", *kwep* < **ƙop-e/i* "a button", *Tkhwym* < **tkhum-e/i* "a head", etc.).